ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე მოსაწყობი ურბანული მოხმარების სკამების
(თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი)
სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე)
სატენდერო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი N2

ქ. თბილისი 20.01.2020 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:

გიორგი პაპავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი).

სატენდერო კომისიის წევრები:

ირინა ჭეიშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

ერეკლე სუხიტაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);

ვლადიმერ სირაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);

ნელი ღვინეფაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

გიორგი მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);

მერი სულუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

ირაკლი ზენდელიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) - სატენდერო კომისიის წევრი;

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი);

დღის წესრიგი

**ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე მოსაწყობი ურბანული მოხმარების სკამების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონულ ტენდერთან (აუქციონის გარეშე) (სატენდერო განცხადება: NAT190025274) დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების (შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის" (ს/კ 406125189) საჩივარი DET190025274_01(NAT)) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის 2020 წლის 20 იანვრის N14-01200203182 წერილის განხილვა.**

განიხილეს:

სატენდერო კომისიამ განიხილა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს 2020 წლის 17 იანვარი გადაწყვეტილება, საიდანაც ირკვევა, რომ, შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფი"-ს მიერ წარმოდგენილი DET190025274_01(NAT) საჩივარი ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული.

სატენდერო კომისიამ მოისმინა კომისიის წევრის ირინა ჭეიშვილის გამოსვლა, რომელმაც აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის წერილის შესაბამისად, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირია მუნიციპალური ქონების ვანდალური დაზიანების ფაქტები, შესასყიდი საქონლის მოთხოვნებში აუცილებელია ანტივანდალური პარამეტრების გათვალისწინება, რის გამოც მიზანშეწონილია დაზუსტდეს ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაცია. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, სატენდერო კომისიას სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის უფლება

აქვს მხოლოდ ტენდერის „ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსის ეტაპზე, ხოლო აღნიშნულ ტენდერს მინიჭებული აქვს სტატუსი - „წინადადებების მიღება დაწყებულია“.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს 2020 წლის 17 იანვარი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის 2020 წლის 20 იანვრის წერილის გათვალისწინებით საჭიროა შეწყდეს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე მოსაწყობი ურბანული მოხმარების სკამების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე) (სატენდერო განცხადება: **NAT190025274**) წერილი თან ერთვის ოქმს.

**კომისიამ დაადგინა:**
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის $გ^1$ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეწყვეტილ იქნას ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე მოსაწყობი ურბანული მოხმარების სკამების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე) (სატენდერო განცხადება: **NAT190025274**) და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ტენდერს მიენიჭოს სტატუსი - „შეწყვეტილია“.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი /გიორგი პაპავა/

კომისიის წევრი /ირინა ჭეიშვილი/

კომისიის წევრი /ერეკლე სუხიტაშვილი/

კომისიის წევრი /ვლადიმერ სირაძე/

კომისიის წევრი /ნელი ღვინეფაძე/

აპარატის წევრი /გიორგი მამულაშვილი/

აპარატის წევრი /მერი სულუაშვილი/

## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**14-01200203182**
თარიღი: **20/01/2020**

**ადრესატი:**

ირაკლი ხენდელიანი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია-მერის მოადგილე

ბატონო ირაკლი,

მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2019 წლის 20 დეკემბერს გამოცხადებულ NAT**190025274** (ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე მოსაწყობი ურბანული მოხმარების სკამების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვა.) ელექტრონულ ტენდერში მიზანშეწონილია შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ დავალებაში ცვლილებების განხორციელება.

მოგახსენებთ რომ ხშირია მუნიციპლაური ქონების ვანდალური დაზიანების ფაქტები. აქედან გამომდინარე, შესასყიდი საქონლის მოთხოვნებში აუცილებლად მიგვაჩნია ანტივანდალური პარამეტრების გათვალისწინება.

ვინაიდან გამოცხადებული ტენდერის პროცედურის ამ ეტაპზე, სატენდერო პირობებში ცვლილების განხორციელება შეუძლებელია, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს ტენდერის შეწყვეტის პროცედურის ორგანიზება.

პატივისცემით,

ირინა ჭეიშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

საქართველო, თბილისი, 0160, ქ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 237 84 10, (+995 32) 237 81 47